# ქუჩასთან დაკავშირებულ ახალგაზრდებში გავრცელებული ძალადობის ფორმები: განსხვავებები ეთნიკური ჯგუფების მიხედვით

**ანა სეხნიაშვილი**

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური სამუშაოს მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

სოციალური სამუშაო

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შორენა საძაგლიშვილი

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**თბილისი, 2018**

*როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვას ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.*

ანა სეხნიაშვილი 21.06.2018

# აბსტრაქტი

ნაშრომში წარმოდგენილია ქუჩასთან დაკავშირებულ ახალგაზრდებში გავრცელებული ძალადობის ფორმები საზოგადოების (მოქალაქეები, საპატრულო პოლიცია , სამედიცინო, საგანმანათლებლო დაწესებულება) , ოჯახის წევრების და თანატოლების მხრიდან. გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდი. კვლევის მიზანს წარმოადგენს, გავიგოთ თუ ძალადობის რა ფორმებს განიცდიან ქუჩასთან დაკავშირებული ახალგაზრდები ეთნიკურობის მიხედვით, რამდენად სტიგმატურია საზოგადოების დამოკიდებულება , განიცდიან თუ არა დისკრიმინაციას პასუხისმგებელი პირების მხრიდან.

კვლევის შედეგად დადგინდა, საზოგადოებას არ აქვს ინფორმაცია ბავშვთა უფლებების შესახებ, ასევე გაირკვა, რომ ქუჩასთან დაკავშირებული ყველა ახალგაზრდა განიცდის ფიზიკურ ძალადობას, ჩართულები არიან ბავშვთა შრომაში, უმეტესი ნაწილი სექსუალური ძალადობის/ტრეფიკინგის მსხვერპლია. ეთნიკურად აზერბაიჯანელი ქურთი, ბოშა მოლდაველი განიცდის დისკრიმინაციას და არიან სტიგმის მსხვერპლები საზოგადოების და იმ პასუხისმგებელი პირების მხრიდან რომლებიც ვალდებულები არიან დაიცვან ქუჩასთან დაკავშირებული ახალგაზრდების უფლებები.

საძიებო სიტყვები: ქუჩასთნ დაკავშირეული ახალგაზრდა, ფიზიკური ძალადობა, დისკრიმინაცია

## Abstract

The paper describes the forms of violence in the street connected youth from the public (citizens, patrol police, medical, educational institution), family members and peers. It is used qualitative research method. The purpose of the study is to understand if the forms of violence are associated with street connected youth according to ethnicity, how stigmatical is the public attitude, whether they suffer from discrimination of responsible persons. The survey revealed that the public has no information about children's rights, it was also revealed that all the youngsters in the streets suffer physical violence, are involved in child labor, most of them are victims of sexual abuse / trafficking.

Ethnic Azeri Kurd, Roma Moldavian are suffered from discrimination and are the victims of stigma from society and those authority persons, which are responsible to protect the rights of street connected youth.

**keywords:** Street connected youth, physical violence, discrimination.